



საიას კვლევა - „მინისტრის ბინაში რეგისტრირებული კომპანია სახელმწიფოს მილიონზე მეტი ვალით“

2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საზოგადოებას კვლევის „მინისტრის ბინაში რეგისტრირებული კომპანია სახელმწიფოს მილიონზე მეტი ვალით“ შედეგები გააცნო.

კვლევა ეხება, სახელმწიფოსა და შპს ინტერნეიშენალ ივენთს შორის 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების დეტალებს, რომლის მიხედვითაც ინტერნეიშენალ ივენთს, თბილისის საკონცერტო დარბაზი (ფილარმონია) 49 წლიანი იჯარით გადაეცა.

შპს ინტერნეიშენალ ივენთის მენილევები, 2014 წლის შემოდგომამდე, საქართველოს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე - კახი კანდელაკი და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორი დავით მენაბდე იყვნენ. კომპანიაში მათი წილის ფლობის დროს შპს ინტერნეიშენალ ივენთს სახელმწიფოს წინაშე 700,000 ლარზე მეტი ჰქონდა დავალიანება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. დღეისათვის, ჯამურად დავალიანება 1,245,000 ლარზე მეტს შეადგენს. კომპანია 2011 წლიდან მოყოლებული არ იხდის თბილისის საკონცერტო დარბაზის მართვის საზღაურს. ამასთან, როგორც საიასათვის გახდა ცნობილი თბილისის საკონცერტო დარბაზის დიდი სცენის ერთი დღით დაქირავების საფასური 15,000 ლარიდან იწყება, ხოლო ივენთ-ჰოლის 6,000 ლარიდან.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ინტერნეიშენალ ივენთსი:

- სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;
- კომპანიამ ვერ უზრუნველყო 5,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციის სრულად განხორციელება;
- კომპანიის მიერ დროულად არ ხდება შესაბამისი ანგარიშების სახელმწიფოსათვის წარდგენა.

კომპანიის იურიდიულ მისამართად დღემდე რჩება ქ. თბილისი გაბაშვილის ქ. #1 მდებარე უძრავი ქონება, რომელიც ამავედროულად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის - მიხეილ გიორგაძის საკუთრებას წარმოადგენს. აღნიშნული აძლიერებს ეჭვს, რომ მინისტრის ფორმალურად არის ჩამოშორებული კომპანიას და რეალურად მას დღემდე გააჩნია ინტერესები ინტერნეიშენალ ივენთსში.

საიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ:

- სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილება და ინტერნეიშენალ ივენთსის მიერ არაერთხელ დარღვეული სახელშეკრულებო ვალდებულებების შემდეგ, შეწყვიტოს კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტომ ყველა ღონე უნდა იხმაროს რომ შპს ინტერნეიშენალ ივენთსმა სრულად დაფაროს სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება;

იხილეთ **კვლევა**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დეტალური პრეზენტაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტში